თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5157039

ნომერი: AR1783149

თარიღი : 21.10.2020

გაცემის თარიღი : 23.10.2020

გაცნობის თარიღი : 23.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 238ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

--- იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა:

- დეტალურად განიმარტოს საპროექტო სამუშაოების შესახებ. გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილია შენობა-ნაგებობა ფუნქციით დაცვის ჯიხური და ოფისი, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-16 მუხლის 2’ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამხმარე შენობა-ნაგებობის არსებობა დასაშვებია მხოლოდ მთავარ ობიექტთან ერთად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არ არის ძირითადი ობიექტი განთავსებული, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. ამ შემთხვევაში, ნაკვეთი გამიჯნულია და მასზე არაა განთავსებული ძირითადი შენობა-ნაგებობა, რომლის დამხმარე ნაგებობადაც ჩაითვლება მოთხოვნილი ჯიხური და ოფისი. განიმარტოს ზემოაღნიშნულის შესახებ.
- მონტაჟზე დაიტანეთ ღობის პარამეტრები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად : – მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს. საჭიროა აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს საპროექტო ფოტომონტაჟი (დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით).
- საკადასტრო გეგმაზე სხვა ფერის კონტურით მონიშნეთ საპროექტო ღობის არეალი.
- განიმარტოს რომელი მიწის ნაკვეთების გავლით ხდება თქვენს დაიტნერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოხვედრა. საჭიროა წარმოადგინოთ მისასვლელის სამართლებრივი საფუძველი. თუ მისასვლელად იყენებთ ნაკვეთს #01.72.14.006.768- დაიტვირთოს სერვიტუტით თქვენს სასარგებლოდ და წარმოადგინეთ ზემოაღნიშნულის სამართლებრივი საფუძველი.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.